

პროგრამის და ქვეპროგრამების შესახებ 2019 წლის I კვარტლის ანგარიში

შსს სსიპ „112“ (30 08)

(საბიუჯეტო ორგანიზაციის დასახელება, პროგრამული კოდი)

სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა: თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: საგანგებო და გადაუდებელი დახმარების ეფექტური სისტემის ფუნქციონირება (30 08)

პროგრამის განმახორციელებელი - შსს სსიპ „112“

| პროგრამის კოდი | დასახელება | წლიური დამტკიცებული მოცულობა | წლიური დაზუსტებული მოცულობა | საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება | საკასო შესრულების % წლიური დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში | საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
|----------------|---|------------------------------|-----------------------------|--------------------------------------|---|---|
| 30 08 | საგანგებო და გადაუდებელი დახმარების ეფექტური სისტემის ფუნქციონირება | 12 192,0 | 12 192,0 | | | 2 435 |

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

- მიღებული იქნა საგანგებო სიტუაციების და გადაუდებელი აუცილებლობის შესახებ შეტყობინებები (1 331 406 ზარი), რომლებიც დამუშავდა შესაბამისი მომიჯნავე სამსახურების მიერ და გაწეულ იქნა კოორდინირებული მუშაობა 112-ის კომპეტენციის ფარგლებში;
- გადაუდებელი დახმარების საგანგებო ნომერთან დამაკავშირებელი ინოვაციური არხის - 112- ის მობილური აპლიკაციის გაუმჯობესების მიზნით, მუდმივად ხდება ახალი ფუნქციონალების დამატება;
- განხორციელდა მობილური აპლიკაციის სრულიადაპტაცია მხედველობის არმქონე პირებისთვის;

- დაემატა ოჯახში ძალადობის ჩანართი, რომელიც მოქალაქეებს აწვდის ინფორმაციას ძალადობის ფორმებსა და მსხვერპლთა დახმარების სერვისების შესახებ;
- მიმდინარეობს მუშაობა ახალი ჩანართის „თამბაქოს კონტროლი“ დამატებაზე, სადაც მოქალაქეები გაეცნობიან თამბაქოს მოწვევასთან დაკავშირებით არსებულ რეგულაციებს და მიიღებენ რეკომენდაციებს მოწვევისთვის თავის დანებების შესახებ;
- საქართველოს წითელი ჯვრის ასოციაციასთან ერთად ყოველ თვე მიმდინარეობს სტუდენტებისთვის პირველი გადაუდებელი დახმარების ტრენინგები. საანგარიშო პერიოდში აღნიშნული ტრენინგები გაიარა 68 სტუდენტმა;
- დაიწყო მუშაობა ახალი პროგრამული უზრუნველყოფის (ERC 2.0) შექმნაზე. პროექტის მიზანია ახალი პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა, რომელიც გააუმჯობესებს სამუშაო პროცესს და ეფექტურს გახდის ცენტრის მუშაობას;
- გაფორმდა ხელშეკრულება პრიორიტეტების განმსაზღვრელი პროგრამის (ProQA) მომწოდებელ კომპანია PDC-სთან და დაიწყო პროექტის განხორციელება. შეირჩა კულტურული კომიტეტების და ინსტრუქტორობის კანდიდატები და გადაეგზავნა IAED საერთაშორისო აკადემიას. 112-ს ესტუმრა PDC-ს წარმომადგენელი, ჩატარდა სამუშაო შეხვედრა, როგორც 112-ის შესაბამის სამსახურების, ასევე, მომიჯნავე უწყებების მონაწილეობით. დაიწყო ERC-ს მომზადება ProQA-სთან ინტეგრაციისთვის;
- მომზადდა საგზაო უსაფრთხოების მიმართულებით ცნობიერების ამაღლების კამპანიის წარმოების შესახებ კვლევა და საკომუნიკაციო სტრატეგია;
- დაიწყო კომუნიკაცია Apple-თან AML სერვისის დასანერგად iOS მომხმარებლებისთვის, აგრეთვე, Google-თან AML სერვისის დასანერგად გასაფორმებელი ხელშეკრულების განხილვა და მომზადება;
- 112-ის პროგრამაში (ERC Phone) განხორციელდა უცხოენოვანი ზარების გადამისამართების ახალი ფუნქციონალის დამატება, რაც უფრო მოქნილს გახდის ცენტრის მუშაობას;
- ადამიანური რესურსების მართვისა და ანგარიშგების სისტემას (ელ. პორტალი) დაემატა ადამიანური რესურსების სამუშაო გამოცდილების, განათლების და სხვა უნარების მართვის მოდულები. აგრეთვე, განახლდა ინსპექტირების სამსახურის მოდული;
- გადამზადდა/მომზადდა 182 მსმენელი. მათ შორის, 131 - 112-ის ქოლ-ცენტრის ოპერატორი, 14 ოპერატორობის კანდიდატი, 6 საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელი, 5 შსს-ს ერთიანი მომსახურების ცენტრის თანამშრომელი, 2 ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახურის თანამშრომელი, 24 საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს თანამშრომელი;
- გაწეულ იქნა ევაკუატორით მომსახურების სერვისი როგორც საპატრულო პოლიციისთვის, ასევე, სხვადასხვა იურიდიულ და ფიზიკური პირებისთვის, დადებული ხელშეკრულების შესაბამისად.